ივლისი 2020
[No. 5] WWW.BDO.GE

საკანონმდებლო მაცნე

აქციზით დასაბეგრი ოპერაციები
გვერდი 1

COVID 19-ის ზიანის შემსუბუქების პროგრამა
გვერდი 3

არაარსებითი დანაკარგები სავაჭრო ობიექტებში
გვერდი 6

ცვლილება კანონში

აქციზით დასაბეგრი ოპერაციები

საქართველოს კანონით №6343II 2020 წლის 12 ივნისს ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, კერძოდ: 182ე და 184ე მუხლების პირველი ნაწილის „დ“ პუნქტში. ცვლილებით განისაზღვრა, რომ აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს ბუნებრივი აირის (აირისებრ მდგომარეობაში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას, რა დროსაც აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტია ბუნებრივი აირის (აირისებრ მდგომარეობაში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი. ცვლილებამდე არსებული რედაქციით აქციზის გადამხდელად ითვლებოდა ასევე პირი, რომელიც ახორციელდებდა ბუნებრივ აიროვანი კონდენსატის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის.

ამავე მუხლებიდან ასევე ამოღებულია პირველი ნაწილის „დ[1]“ პუნქტი, რომლის მიხედვითაც აქციზის გადასახადით აღარ იბეგრება შემდეგი ნავთობპროდუქტების აირების ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის მიწოდება:

- 2711 12 პროპანი
- 2711 13 ბუტანები
- 2711 14 000 00 ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი
- 2711 19 000 00 დანარჩენი.

თუმცა, ზემოთ მოცემული საქონელი ითვლება აქციზურ საქონლად და მათი იმპორტი კვლავ იბეგრება აქციზით.

შინაარსი

- აქციზით დასაბეგრი ოპერაციები
- COVID 19-ის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა
- საგადასახადო შეღავათების დეკლარაციაში ასახვის წესი
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებული წესი
- პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ზედმეტობის გაუქმება
- სავაჭრო ობიექტებში გამოვლენილი საქონლის (სურსათის) არაარსებითი დანაკარგების დანაკლისად განუხილველობა

ცვლილება შევიდა ასევე 188-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს აქციზურ საქონელზე აქციზის განაკვეთებს. კერძოდ, აქციზის განაკვეთები ნავთობპროდუქტების აირებსა და ბუნებრივი აირზე (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა) გაიზარდა და განისაზღვრა შემდეგნაირად:

ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)			
2709 00 100 00	– აირის კონდენსატი ბუნებრივი	1 ტ	300
2711 11 000 00	– – ბუნებრივი აირი (გათხევადებული)	1 ტ	300
2711 12	– – პროპანი	1 ტ	300
2711 13	– – ბუტანები	1 ტ	300
2711 14 000 00	– – ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი	1 ტ	300
2711 19 000 00	– – დანარჩენი	1 ტ	300
2711 21 000 00	– – ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში)	1000 $მ^3$	300
2910 10 000 00	– – გაჯერებულები	1 ტ	300
2901 23	– – ბუტენი (ბუტილენი) და მისი იზომერები:	1 ტ	300

ცვლილება ძალაშია 2020 წლის 4 ივლისიდან.

ცვლილება დადგენილებაში

ცვლილება ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამაში

საქართველოს მთავრობის 16 ივნისის №372 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 4 მაისის № 286 დადგენილებაში. ცვლილებების თანახმად:

- გაიზარდა თვეში 200 ლარიანი კომპენსაციის მიმღები პირების წრე. არსებულ სიას (რომელიც მოიცავდა იმ პირებს, რომლებმაც ხელფასი ერთხელ მაინც მიიღეს 2020 წლის პირველ კვარტალში) დაემატა ის დაქირავებული პირებიც:
  - რომლებიც დაქირავებით მუშაობდნენ 2019 წლის ივლისი-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერი უწყვეტი სამი თვის განმავლობაში.
  - რომლებმაც 2020 წლის ივნისის თვეში არ მიიღეს ხელფასი (მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება აპრილსა და მაისში ჰქონდათ ხელფასი მიღებული).
- განისაზღვრა კომპენსაციის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შეადგენს 1200 ლარს. ამავდროულად გაუქმდა კომპენსაციების საანგარიშო პერიოდების შეზღუდვა (ცვლილებამდე კომპენსაციის გაცემის საანგარიშო პერიოდი მხოლოდ აპრილი-სექტემბრის პერიოდს მოიცავდა).
- შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს არ ექცევა ყურადღება, საკმარისი პირობაა, რომ ნებისმიერი გზით შეწყვეტილიყო/შეჩერებულიყო შრომითი ურთიერთობა.
- დამქირავებელი თუ არ წარადგენს მომდევნო თვეში 200 ლარიანი კომპენსაციის მიმღებ პირთა შესახებ ინფორმაციას, გამოყენებული იქნება წინა პერიოდის განცხადებები და დამქირავებელს ვალდებულება შესრულებულად ჩაეთვლება.
- ამასთან, დამქირავებელს განაცხადის წარდგენის ვალდებულება წარმოეშობა, თუ დაზუსტების მიზანია დაქირავებული პირის კომპენსაციის მიმღებ პირთა რეესტრში დამატება. დამქირავებელი ინფორმაციას წარადგენს მხოლოდ ამ პირზე, ხოლო დანარჩენ დაქირავებულებთან მიმართებით გამოყენებული იქნება დამქირავებლის მიერ სამსახურში წარდგენილი წინა განაცხადებ(ებ)ი.
- დამქირავებელს მიეცა საშუალება ფიზიკური პირის კომპენსაციის მიღების უზრუნველსაყოფად, 22 მაისის შემდეგაც დააზუსტოს არასწორად წარდგენილი დაქირავებული პირის პირადი ნომერი გადახდის წყაროსთან

  დაკავებული გადასახადის დეკლარაციებში ან 2019 წელს - თვის განაცემთა ინფორმაციის დეკლარაციაში. აღნიშნულ შემთხვევაში დასაქმებული შეძლებს მოიპოვოს თვეში 200 ლარი კომპენსაციის მიღების უფლება.
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიეცა საშუალება წარადგინოს თვეში 200 ლარიანი კომპენსაციის მიმღებ პირთა შესახებ ყოველთვიური ინფორმაცია, მაშინაც კი, როცა არ აკავებდა გაცემულ ხელფასზე საშემოსავლო გადასახადს გადახდის წყაროსთან.
- დასაქმებულს მიეცა 200 ლარიანი კომპენსაციის მიღების უფლება დასაქმებულის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენის გზით მაშინაც კი, თუ დამქირავებელი მეწარმე ფიზიკური პირი გარდაიცვალა და ამის გამო შეუძლებელი იყო ყოველთვიური ინფორმაციის წარდგენა.
- დაზუსტდა, რომ მათ შორის რეგისტრირებულ თვითდასაქმებულსაც (ინდივიდუალური მეწარმე, მცირე, მიკრო, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი) შეუძლია წარადგინოს განაცხადი და 2020 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური საქმიანობის გაწევის ან/და შემოსავლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაციის მისაღებად, თუ ის ავტომატური გზით არ მოხვდა.

შემოსავლების სამსახურის მიერ მომზადებულ კომპენსაციის მიმღები თვითდასაქმებული პირების სიაში (იმის გამო, რომ არ ჰქონდა დეკლარაციები წარდგენილი ან არ ჰქონდა სალარო აპარატის ბრუნვა ან სხვა.).

- დასაქმებული (ან ყოფილი დასაქმებული), რომელმაც აპრილის ან/და მაისის საანგარიშო პერიოდის მიხედვით მიიღო თვეში **200** ლარი კომპენსაციის მიღების უფლება, ამ უფლებას ინარჩუნებს მაშინაც კი, თუ **2020** წლის ივნისში ან შემდგომ თვეებში მიიღო ხელფასი/სარგებელი დარიცხული ოდენობით არაუმეტეს თვეში 10 ლარის ოდენობისა.

- ერთჯერადი 300 ლარი კომპენსაციის მიღება თვითდასაქმებულს შეუძლია მაშინაც კი, თუ პირს უფიქსირდება სხვა წყაროდან (დამსაქმებლისგან) 2020 წლის რომელიმე თვეში არაუმეტეს 10 ლარი ხელფასის მიღება.

ცვლილება ძალაშია 2020 წლის 17 ივნისიდან.

საქართველოს მთავრობის 26 ივნისის №388 დადგენილებით ასევე განხორციელდა ცვლილება №286 დადგენილებაში, რომლის თანახმადაც საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც თვითდასაქმებულები იყვნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ, რის გამოც 2019 წელს უფიქსირდებათ საზღვრის კვეთა არანაკლებ 60-ჯერ ან/და 2019 წლის მარტის თვიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით პერიოდში უფიქსირდებათ საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნა 30-იდან 120 კალენდარული დღის ჩათვლით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის (საზღვრის კვეთა) საფუძველზე ეძლევათ შესაძლებლობა, სარეგისტრაციო პორტალზე დარეგისტრირდნენ კომპენსაციის მიმღებ პირებად არა უგვიანეს 2020 წლის 15 ივლისისა.

ცვლილება ძალაშია 2020 წლის 27 ივინისიდან.

ცვლილება ბრძანებაში

საგადასახადო შეღავათის დეკლარაციაში ასახვის წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 4 ივნისის ბრძანებით №124 ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა №996 ბრძანებაში. კერძოდ, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის „ა“ დანართს დაემატა მე-14 სვეტი დასახელებით შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადი.

აღნიშნული უკავშირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 112-ე ნაწილს, რომლის მიხედვითაც კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად მიყენებული ზარალის შესამსუბუქებლად 2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამქირავებელი (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკის, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს და საწარმოების, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი) უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1,500 ლარს არ აღემატება.

აღნიშნული შეღავათით სარგებლობასთან დაკავშირებით იმავე ბრძანებით ჩაიწერა საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც განმარტავს სხვადასხვა შესაძლო შემთხვევას.

ბრძანება ძალაშია 2020 წლის 6 ივნისიდან.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებული წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №140 ბრძანებით 2020 წლის 24 ივნისს ცვლილებები შევიდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანებას დაემატა 37[17] მუხლი, რომელიც განმარტავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებულ წესს. ცვლილების თანახმად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებული წესი ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივი კვების საქმიანობის ნაწილში, ჩამოწერას დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ (გარდა აქციზური საქონლისა).

პირი უფლებამოსილია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებული წესით ისარგებლოს, თუ კმაყოფილდება ამ ბრძანებით განსაზღვრული გარკვეული კრიტერიუმები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებული წესით სარგებლობის მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ შემოსავლების სამსახურს წარედგინება განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს დაინტერესებული პირის სახელწოდებას/საფირმო სახელწოდებას და საიდენტიფიკაციო ნომერს. განცხადების მიღებისთანავე, შემოსავლების სამსახური დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის შესახებ მონაცემების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამარტივებული ჩამოწერის რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) შეტანას, რომელსაც თავად შემოსავლების სამსახური აწარმოებს.

ბრძანებით განისაზღვრა ასევე პირის ვალდებულებები საქონელთან მიმართებით გამარტივებული ჩამოწერის წესით სარგებლობის დროს.

აღნიშნულ ბრძანებას ასევე დაემატა 37[18] მუხლი, რომლითაც განიმარტა თუ რა შემთხვევაში უქმდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებული წესით სარგებლობის უფლება.

საქართველოს მთავრობის № 382 დადგენილებით 2020 წლის 25 ივნისს ცვლილება შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში. ცვლილებით ერთ ობიექტზე დღეში ერთხელ 100 ლარამდე ღირებულების ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის და ასევე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამარტივებული წესით ჩამოწერის შესახებ შეტყობინების დადასტურება გათავისუფლდა საფასურისგან.

ბრძანებები ძალაშია 2020 წლის 1 ივლისიდან.

ცვლილება მეთოდურ მითითებაში

პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ზედმეტობის გაუქმება

2020 წლის 2 ივნისს ცვლილება შევიდა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესში. ცვლილებით დადგინდა, რომ ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახადის გადამხდელს უუქმდება პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელზეც მომდევნო წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გასულია საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა, თუ მას გაუქმების ოპერაციის გატარების თარიღამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე (მათ შორის, დროებითი აღრიცხვის ბარათზე) გატარებული ოპერაცია. ამ მიზნით, მხედველობაში არ მიიღება ოპერაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით ჩასათვლელი თანხა დარიცხული თანხის ტოლია).

აღნიშნული არ ვრცელდება სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე, სახელმწიფოს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათებზე.

გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ზედმეტად გადახდილი თანხის გაუქმება ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ, ყოველი წლის პირველ იანვარს.

აღნიშნული წესი ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში გავრცელდება ასევე იმ გადასახადის გადამხდელებზე, რომლებსაც 2017 წლის პირველი იანვრიდან ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე არ უფიქსირდებათ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე (მათ შორის, დროებითი აღრიცხვის ბარათზე) გატარებული ოპერაცია.

მათ გაუუქმდებათ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელიც ამ ბრძანების ამოქმედების მომენტისათვის ფიქსირდება ზედმეტად გადახდილად და რომელზეც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გასულია საგადასახადო ორგანოსთვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა.

ბრძანება ძალაშია 2020 წლის 3 ივნისიდან.

სავაჭრო ობიექტებში გამოვლენილი საქონლის (სურსათის) არაარსებითი დანაკარგების დანაკლისად განუხილველობა

2020 წლის 19 ივნისს გამოიცა შემოსავლების სამსახურის № 16117 ბრძანება საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით, არაარსებითი ეკონომიკური გავლენის მქონე სამეურნეო ოპერაციების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე. აღნიშნულ ბრძანებაში განიმარტა სავაჭრო ობიექტებისათვის არაარსებითი დანაკარგის ცნება, რომელიც არ იქნება განხილული დანაკლისად გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის.

ბრძანების თანახმად არაარსებითი დანაკარგი არის გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტებში მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში გამოვლენილი საქონლის (სურსათის) დანაკლისის ჯამი, რომლის საბაზრო ღირებულება (დღგ-ის გარეშე) არ აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზებული, მათ შორის დანაკლისად დაბეგრილი, საქონლის (სურსათის) სარეალიზაციო ღირებულებათა (დღგ-ის გარეშე) ჯამის 1%-ს.

თუ მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში რეალიზებული, მათ შორის დანაკლისად დაბეგრილი, საქონლის სარეალიზაციო ღირებულებათა ჯამი (დღგ-ის გარეშე) არსებითად (10 პროცენტით და მეტით) განსხვავდება წინა სრული კალენდარული წლის მონაცემისაგან, მაშინ მიმდინარე წლის დეკემბერში არაარსებითი დანაკარგის ოდენობა ექვემდებარება გადაანგარიშებას. მოცემულ შემთხვევაში არაარსებითი დანაკარგის ოდენობა განისაზღვრება მიმდინარე კალენდარული წლის მონაცემის 1%-ით.

წინამდებარე მეთოდური მითითება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- არ არის იდენტიფიცირებული საქონლის ქურდობის ან/და უკანონო მოხმარების განმახორციელებელი პირი
- არ მომხდარა არაარსებითი დანაკარგის ფარგლებში შესაბამისი ზიანის/კომპენსაციის ვინმესთვის დაკისრება
- არ არსებობს დანაკლისის გამომრიცხავი სხვა მტკიცებულება.

აღნიშნული მეთოდური მითითების გამოყენების ფარგლებში ტერმინებს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობები:

- სავაჭრო ობიექტი არის მაღაზია (მარკეტი, სუპერმარკეტი ან ჰიპერმარკეტი), სადაც საქონლის (სურსათის) საცალო რეალიზაცია ხორციელდება „ღია საწყობის“ პრინციპით.
- საქონელი (სურსათი) არის ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი პროდუქტი, ასევე, ყველა სახის სასმელი (გარდა აქციზური საქონლისა, ღვინისა და მარკირებას/ნიშანდებას დაქვემდებარებული სასმელებისა), საღეჭი რეზინა და სურსათში გამოსაყენებელი ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს.
- ყველა ჩამოთვლილი პირობის დაცვით ღია საწყობი არის სავაჭრო სივრცე:

  - სადაც იდენტიფიცირებულია მომხმარებელთა შესასვლელ-გასასვლელი

  - სადაც გასაყიდად განკუთვნილი საქონელი (სურსათი) განთავსებულია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილას - თაროებზე, დახლ-მაცივრებში და სხვა სათავსოებში;

  - სადაც მომხმარებელი დამოუკიდებლად ან/და მოლარე-კონსულტანტის დახმარებით ირჩევს სასურველ საქონელს (სურსათს);

  - სადაც საქონლის (სურსათის) შეძენა-რეალიზაცია აღირიცხება შტრიხ-კოდებითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით და ამ აღრიცხვით, იდენტიფიცირებადია როგორც შეძენილი საქონლის (სურსათის) თვითღირებულება, ისე ამავე საქონლის (სურსათის) რეალიზაციიდან მიღებული თანხა.

წინამდებარე მეთოდური მითითება ძალაშია 2020 წლის 20 ივნისიდან და გამოიყენება 2020 წლის 1 იანვრიდან საანგარიშგებო პერიოდებზე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერების მიმართ.

მარიამ ხუსკივაძე
Mkhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

► წაიკითხეთ მეტი **www.bdo.ge**

ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიოს“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.